



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

04 ოქტომბერი 2024



N 647

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ანდრე აუდიტი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის 15 ივნისს წარედგინა შპს „ანდრე აუდიტი“-ს (ს/ნ 406121352; იურიდიული მის.: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, დასახლება ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი III ა, კორპუსი 335, ბინა126) წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N102514/16; 15.06.2023წ.) თანდართულ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისთან (N AUD – 000032) ერთად, რომლის სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2024 წლის 07 ივნისამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

საყურადღებოა, რომ სამსახურს 2024 წლის 26 ივლისს წარედგინა შპს „ანდრე აუდიტი“-ს განცხადება (სამსახურში რეგისტრაციის N125980/16; 29.07.2024წ.) თანდართულ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისთან (N AUD – 000042) ერთად, რომლის სადაზღვევო პერიოდს წარმოადგენდა 30.12.2023 - 29.12.2024წ., აქედან გამომდინარე, შპს „ანდრე აუდიტი“-მ NAUD – 000032 დაზღვევის პოლისის ვადის გასვლამდე, კერძოდ, 2023 წლის 29 დეკემბერს განაახლა NAUD – 000042 დაზღვევის პოლისი, რის შესახებაც სამსახურს აცნობა 2024 წლის 26 ივლისს (სამსახურში რეგისტრაციის

N125980/16; 29.07.2024წ.). მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით შპს „ანდრე აუდიტი“ ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან/ცვლილებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის. აუდიტორული ფირმის მიერ აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით, კერძოდ, 2024 წლის 26 ივლისს. ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს „ანდრე აუდიტი“ (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-934401) დაჯარიმდეს 300 ლარით;
2. ბრძანება გაეგზავნოს აუდიტორულ ფირმას - შპს „ანდრე აუდიტი“ -ს;
3. შპს „ანდრე აუდიტი“-ს დაევალოს ჯარიმის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
4. ბრძანება ძალაში შესვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით გამოქვეყნდეს სამსახურის ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით სხილაძე



პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი)

მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველო

<https://edoc.mof.ge/public/#/647-16-4-202410041003>

